MES 5 23 0001453147

27/10/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 13.10.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:50სთ
სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიზე-ჯიშკარიანი
სხდომის თავმჯდომარე: ერმილე მესხია
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** -სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი- **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (სხდომის თავმჯდომარე);**
2. **რატი რატიანი**-შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი- **საბჭოს მდივანი;**
3. **ქეთევან ზურაშვილი** -სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
4. **ხათუნა თოდაძე** -სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
5. **მარინე მაისურაძე** -სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
6. **ერმილე მესხია** -სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
8. **ლაშა ჩხარტიშვილი** -სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;

9. **თინათინ ჭაბუკიანი** -სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
10. **გურანდა ჭელიძე** -შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
11. **მამუკა ხუსკივაძე** -სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.
12. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
13. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
14. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
15. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
16. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
17. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**ანი ბილანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	**ანა ჯუღელი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	მაკა ლაშხია			I

		სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	
3	თამარ ცაგარელი		პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	ნინო ჭიჭინაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I
5	სალომე დუნდუა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	II
6	ნინო ჭალაგანიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	II
7	ნათია კუპრაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	II
8	მარეხ დევიძე		ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის მოადგილე	II
9	მარიამ მსხალაია		ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი სპეციალისტი	II
10	ნინო ქიმერიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	
11	შოთა ფოთოლაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
12	თეონა ბერიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველს სახელმწიფო უნივერსიტეტის	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	II
13	ინგა შამილიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	II
14	ივდით დიასამიძე		ჰუმანიტარულმეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
15	ვლადიმერ ღლონტი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
16	კახა შენგელია	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის პრეზიდენტი	III
17	ბორის ლეჟავა		ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში	III
18	დიანა მჭედლიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	III
19	მარიამ იაშვილი		გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი	III

20	სალომე კიკნაძე		არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის ადმინისტრაციული დირექტორი	III
21	მარიამ მენაბდე		არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის დეკანი, გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	კოსტას მანტზალოსი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნინო სანადირაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	თამთა თურმანიძე,	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნინო ქავთარია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ვაჟა კელიხაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	თინათინ ზაქარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	მირიან ყენია	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნათია ზედგინიძე -ჯიშკარიანმა.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გრაფიკის ხელოვნების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო, "გამოყენებითი ხელოვნების - მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო და "ხელოვნებათმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში - "ბრიტანეთის კვლევების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველს სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ციფრული მედია და ინოვაციების" ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს

რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

ცენტრის წარმომადგენელმა, ანი ბილანიშვილმა საბჭოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა სხდომის დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, შუამდგომლობა ეხებოდა შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში - "ბრიტანეთის კვლევების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვას გადადებას შემდეგი სხდომისთვის, დაწესებულების განცხადების საფუძველზე.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გრაფიკის ხელოვნების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო, "გამოყენებითი ხელოვნების - მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო და "ხელოვნებათმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველს სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ციფრული მედია და ინოვაციების" ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

საბჭომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

1. პირველი საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გრაფიკის ხელოვნების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო, "გამოყენებითი ხელოვნების - მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო და "ხელოვნებათმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გრაფიკის ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) Graphic Art (major and minor)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.12.2011, N449
5		

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკაში Bachelor of Fine Arts in Graphic Art
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სახვითი ხელოვნება 0213
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კორპუსები A, B, C და D ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი ხელოვნება - მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) Applied Arts – Ceramic Art for Public Spaces (major and minor)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.12.2011, N449
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ბაკალავრი მხატვრულ კერამიკაში Bachelor of Fine Arts in Ceramic Arts
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა) 0214
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კორპუსები A, B, C და D ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) Art History (major and minor)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	30.09.2011, N68
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები: ანგლისტიკა, გერმანისტიკა, ესპანისტიკა, საფრანგეთისმცოდნეობა, იტალიისმცოდნეობა, სლავისტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა, ქართული ფილოლოგია)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი Bachelor of Art Studies
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სახვითი ხელოვნება 0213
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კორპუსები A, B, C და D ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა მარინა მაისურაძემ და ირინე ებრალიძემ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, კოსტას მანტზალოსმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა 2023 წლის 18 და 19 ივლისს, რომელიც რექტორატთან ,ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან შეხვედრით დაიწყოდა შემდეგ თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ ჯგუფთან შეხვედრით გაგრძელდა. ასევე, გასაუბრებები შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტთან და დამსაქმებლებთან. ამასთან, ვიზიტის ფარგლებში მოხდა ობიექტების დათვალიერება, მათშორის ბიბლიოთეკა, IT სერვისები და სტუდიები, ასევე, ზოგიერთი სტუდენტის ნამუშევრის. საბოლოო შეხვედრა გაიმართა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

ექსპერტთა მიერ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი იქნა შესწავლილი და საბოლოოდ, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გრაფიკის ხელოვნების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო, "გამოყენებითი ხელოვნების - მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო და "ხელოვნებათმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

1. გრაფიკის ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი

- **პირველისტანდარტი** _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მეორესტანდარტი** _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მესამესტანდარტი** _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მეოთხესტანდარტი** _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

- **მეხუთესტანდარტი** _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

1. გამოყენებითი ხელოვნება-მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი

- **პირველისტანდარტი** _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მეორესტანდარტი** _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მესამესტანდარტი** _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მეოთხესტანდარტი** _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მეხუთესტანდარტი** _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

1. ხელოვნებათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), ბაკალავრიატი

- **პირველისტანდარტი** _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მეორესტანდარტი** _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მესამესტანდარტი** _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მეოთხესტანდარტი** _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მეხუთესტანდარტი** _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფში.
2. რეკომენდებულია საერთაშორისო თანამშრომლობის გასაფართოებლად აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისება; საერთაშორისო მეცნიერებისა და ხელოვანების მოწვევა თავიანთი ნამუშევრების წარსადგენად; აქტიური მონაწილეობა უფრო მეტ საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში.
3. რეკომენდებულია გაგრძელდეს IT აღჭურვილობის განახლება, რათა დაემატოს უახლესი ტექნოლოგიების მქონე მანქანები, რომლებიც სტუდენტების მუშაობას უფრო ეფექტურსა და პროფესიონალურს გახდის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და პირველ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის განვითარებაში ჩართულნი არიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები და

დამსაქმებლები, მაგრამ უშუალოდ დოკუმენტების მომზადებაში ისინი ჩართულნი არ არიან, თუმცა ამითი რა თქმა უნდა სტანდარტი არ ირღვევა, ვინაიდან აქტიურად ხორციელდება მათი გამოკითხვების ანალიზი.

რაც შეეხება მე-2 და მე-3 რეკომენდაციებს, ამ პროგრამებისთვის გამოყოფილია ორი აუდიტორია, რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერებით და თითოეულ სტუდენტს აქვს ცალკე კომპიუტერი, რომლებიც აღჭურვილია კურსებისთვის საჭირო პროგრამებით. ამასთან,პერიოდულად მიმდინარეობს კომპიუტერებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გაძლიერება, რაც ასევე გათვალისწინებულია ბიუჯეტით.

რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციას, უნივერსიტეტში მოქმედებს წესი, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის მექანიზმებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისა და საერთაშორისო პუბლიკაციების გამოქვეყნების მხარდაჭერის შესახებ. შესაბამისი განაცხადის წარდგენის საფუძველზე, პერსონალს აქვს საშუალება მიიღოს ფინანსური მხარდაჭერა უნივერსიტეტისგან. ამის გარდა დაწესებულება ცდილობა მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია მიაწოდოს პერსონალსა და სტუდენტებს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები

საბჭოს წევრმა, ნინო ღაღანიძემ აღნიშნა გრაფიკის ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ, სადაც მოცემულია, რომ გარდა ეროვნული გამოცდებისა, გათვალისწინებულია შემოქმედებითი ტური და ტურის ფარგლებში პორტფოლიო. ქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, არის თუ არა პორტფოლიოს გარდა კიდევ რაიმე დამატებითი გამოცდა განსაზღვრული. გარდა ამისა, ითხოვა განემარტათ, თუ როგორ ხდება პორტფოლიოს ავტორის დაზუსტება, კერძოდ, რომ ის ნამდვილად არის აბიტურიენტის მიერ შესრულებული.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართვებით უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს სამი მემორანდუმი, თუმცა, კლასტერში შემავალი ორი პროგრამის შემთხვევაში მხოლოდ ერთგან არის განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობა, ხოლო მესამესთან დაკავშირებით აღნიშნული ინფომრაცია არ არის მოცემული. გარდა ამისა, მემორანდუმებში გამოყენებულია ტერმინი ,,ჩაშენებული პრაქტიკა". ქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა თხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს აღნიშნული ტერმინის განმარტება. საბჭოს წევრმა ასევე ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა , რომ მასში ცალკე არ არის განსაზღვრული ხარჯები პერსონალის განვითარებასთან და ასევე კვლევებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ აღნიშნა, რომ თვითშეფასების დოკუმენტში, პროგრამებისთვის ერთ-ერთ გასაუმჯობესებელ საკითხად მიჩნეულია ქართულ ენაზე მასალების ნაკლებობა და იქვე შემოთავაზებულია ორი გზა საგრანტო კონკურსების მოძიების სახით. აღსანიშნავია, რომ ძველი პროგრამები დაწესებულებაში 2011 წლიდან ხორციელდებოდა, შესაბამისად, საბჭოს წევრმა იკითხა, თუ როგორ უმკლავდებოდა დაწესებულება მანამდე მოცემულ პრობლემას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა ლაშხიამ ნინო ღაღანიძის მიერ დასმულ კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამით განსაზღვრულია მხოლოდ პორტფოლიო და ჩანაწერშიც არსებული გამოცდა სწორედ ამ პორტფოლიოს გულისხმობს. რაც შეეხება ავტორობის საკითხს, ვინაიდან პროგრამაზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია, პირველ ეტაპზე ხდება პორტფოლიოების ელექტრონულად გამოგზავნა. დაწესებულებაც აქვს ნდობა იმისა, რომ

აბიტურიენტი კეთილსინდისიერად მოიქცევა, ვინაიდან შემდგომ უკვე შიდა მობილობისთვის მკაცრი წესებია განსაზღვრული.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნაწილი მემორანდუმების გაფორმება მოხდა ბევრად ადრე და უკვე ახალ გაფორმებულ მემორანდუმებში აქტიურად იქნა შეტანილი სტუდენტების ზუსტი რაოდენობა. დაწესებულებას ობიექტებისაგან აქვს ყველანაირი ნებართვა, რომ ისინი მიიღებენ განსაზღვრული რაოდენობის სტუდენტებს, რაც ემთხვევა პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობას. თუცა, საგანმანათლებლო დაწესებულება შეიმუშავებს დამატებით დოკუმენტს, დანართის სახით, სადაც მოცემული იქნება კონკრეტული რაოდენობა სტუდენტების. რაც შეეხება ,,ჩაშენებულ პრაქტიკას“ განმარტა, რომ, ჩაშენებული პრაქტიკის დროს სტუდენტები მიდიან დაწესებულებაში, სადაც ეცნობიან იმ სამუშაო ვითარებასა და შესაძლებლობას, სადაც მათ შემდგომ მოუწევთ მუშაობა. აღნიშნული გარდა იმისა, რომ გულისხმობს დათვალიერებას, მოიცავს სხვადასხვა პროცესებშიც მონაწილეობასაც. ამასთან, მოცემული პრაქტიკა არის ხანმოკლე.

ბიუჯეტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბიუჯეტის ფორმა, რომელიც უნივერსიტეტმა წარმოადგინა, არის დამტკიცებული მინისტრის მიერ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტი არ არის ზუსტი ამ პროგრამისთვის. ამ ეტაპზე იგულისხმება და მოცემულია საორიენტაციო ხარჯები. ამასთან აუცილებლობის შემთხვევაში პროგრამა იღებს დამატებით დაფინანსებას ცენტრალური ბიუჯეტიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებს სასწავლო და სამეცნიერო ხარჯებს, რაც გულისხმობს სხვადასხვა ტიპის აქტივობების მხარდაჭერას. ასევე სტუდენტური პროექტებისა და ინიციატივებისთვის არსებობს დამატებითი ბიუჯეტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჭიჭინაძემ განმარტა, რომ პროფესორები მუდმივად თარგმნიან ლიტერატურას, რაც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია რიდერების სახით, შესაბამისად ეტაპობრივად იგეგმება რომ ითარგმნოს მეტი ლიტერატურა. ამ მიმართულებით დაწესებულება აგრძელებს მუშაობას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საფუძველი შექმნილია. უნივერსიტეტში 2011 წლიდან არსებობს რიდერების პრაქტიკა, შესაბამისად იქმნება რიდერები და სახელმძღვანელოები, რაც ძალიან მარტივად იძებნება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ვინაიდან მითითებულია ასევე კურსის სახელწოდება. ასევე ლექტორს შეუძლია სისტემაში ატვირთოს სახელმძღვანელო და შესაბამისად, იგი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:38
დასრულების დრო: 15:08
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გრაფიკის ხელოვნების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გრაფიკის ხელოვნების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭომ ძირითადად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. საგანმანათლებლო გამოცდილების გასაზრდელად და სტუდენტების შესაძლებლობებისა და დარგობრივი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რეკომენდებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა განიხილოს მაღალი სიმძლავრის კომპიუტერებით აღჭურვილი ელექტრო ლაბორატორიის შექმნა. ეს ლაბორატორია კონკრეტულად იმ სტუდენტებს მოემსახურება, რომლებიც ჩართულნი არიან დიზაინში და „გრაფიკული ხელოვნებისა“ და „გამოყენებითი ხელოვნება მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის“ საბაკალავრო პროგრამებში.
2. ეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებსა და საერთაშორისო პროექტებში
3. ეკომენდებულია, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფში.
4. ეკომენდებულია, საერთაშორისო თანამშრომლობის გასაფართოებლად აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისება; საერთაშორისო მეცნიერებისა და ხელოვანების მოწვევა თავიანთი ნამუშევრების წარსადგენად; უფრო მეტ საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში აქტიური მონაწილეობა
5. რეკომენდებულია პროგრამების ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას პერსონალის განვითარების, კვლევითი და მეთოდური მუშაობისათვის, ასევე სტუდენტური პროექტებისთვის საჭირო ხარჯები.
6. რეკომენდებულია გაგრძელდეს IT აღჭურვილობის განახლება, რათა დაემატოს უახლესი ტექნოლოგიების მქონე მანქანები, რომლებიც სტუდენტების მუშაობას უფრო ეფექტურსა და პროფესიონალურს გახდის.

რჩევები:

- მუდმივი, საფუძვლიანი და კარგად განვითარებული თვითშეფასების მექანიზმების შენარჩუნება, რომლებიც უკვე გამოიყენება პროგრამის მიზნების უწყვეტი და მუდმივი განვითარებისთვის;
- სასურველია ინტერნაციონალიზაციის შემდგომი გაფართოება საერთაშორისო მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მოწვევით, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს და, ზოგადად, შეიტანენ შემოქმედებით წვლილს, რაც თანამედროვე გლობალური ხელოვნებისა და კულტურის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იქნება.
- მატერიალური რესურსების გასაუმჯობესებლად, სასურველია მათი განახლება ყოველთვის იყოს დღის წესრიგში და მუდმივად იყოს გამოყენებაში.

- სასურველია, სტუდენტები და კურსდამთავრებულები უშუალოდ იყვნენ ჩართულნი პროგრამების განვითარების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ხელოვნების - მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გრაფიკის ხელოვნების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭომ ძირითადად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:
1. საგანმანათლებლო გამოცდილების გასაზრდელად და სტუდენტების შესაძლებლობებისა და დარგობრივი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რეკომენდებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა განიხილოს მაღალი სიმძლავრის კომპიუტერებით აღჭურვილი ელექტრო ლაბორატორიის შექმნა. ეს ლაბორატორია კონკრეტულად იმ სტუდენტებს მოემსახურება, რომლებიც ჩართულნი არიან დიზაინში და „გრაფიკული ხელოვნებისა“ და „გამოყენებითი ხელოვნება მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის“ საბაკალავრო პროგრამებში.
2. რეკომენდებულია გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებსა და საერთაშორისო პროექტებში
3. რეკომენდებულია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფში.
4. რეკომენდებულია საერთაშორისო თანამშრომლობის გასაფართოებლად აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისება; საერთაშორისო მეცნიერებისა და ხელოვანების მოწვევა თავიანთი ნამუშევრების წარსადგენად; უფრო მეტ საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში აქტიური მონაწილეობა
5. რეკომენდებულია პროგრამების ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას პერსონალის განვითარების, კვლევითი და მეთოდური მუშაობისათვის, ასევე სტუდენტური პროექტებისთვის საჭირო ხარჯები.

6. რეკომენდებულია გაგრძელდეს IT აღჭურვილობის განახლება, რათა დაემატოს უახლესი ტექნოლოგიების მქონე მანქანები, რომლებიც სტუდენტების მუშაობას უფრო ეფექტურსა და პროფესიონალურს გახდის

რჩევები:

- მუდმივი, საფუძვლიანი და კარგად განვითარებული თვითშეფასების მექანიზმების შენარჩუნება, რომლებიც უკვე გამოიყენება პროგრამის მიზნების უწყვეტი და მუდმივი განვითარებისთვის;
- სასურველია ინტერნაციონალიზაციის შემდგომი გაფართოება საერთაშორისო მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მოწვევით, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს და, ზოგადად, შეიტანენ შემოქმედებით წვლილს, რაც თანამედროვე გლობალური ხელოვნებისა და კულტურის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იქნება.
- მატერიალური რესურსების გასაუმჯობესებლად, სასურველია მათი განახლება ყოველთვის იყოს დღის წესრიგში და მუდმივად იყოს გამოყენებაში.
- სასურველია, სტუდენტები და კურსდამთავრებულები უშუალოდ იყვნენ ჩართულნი პროგრამების განვითარების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. საგანმანათლებლო გამოცდილების გასაზრდელად და სტუდენტების შესაძლებლობებისა და დარგობრივი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით,

რეკომენდებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა განიხილოს მაღალი სიმძლავრის კომპიუტერებით აღჭურვილი ელექტრო ლაბორატორიის შექმნა. ეს ლაბორატორია კონკრეტულად იმ სტუდენტებს მოემსახურება, რომლებიც ჩართულნი არიან დიზაინში და „გრაფიკული ხელოვნებისა“ და „გამოყენებითი ხელოვნება მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის“ საბაკალავრო პროგრამებში;

2. რეკომენდებულია გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებსა და საერთაშორისო პროექტებში;
3. სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმდეს მემორანდუმები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება სტუდენტების რაოდენობა და პრაქტიკის განხორციელების ვადები;
4. რეკომენდებულია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფში;
5. რეკომენდებულია საერთაშორისო თანამშრომლობის გასაფართოებლად აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისება; საერთაშორისო მეცნიერებისა და ხელოვანების მოწვევა თავიანთი ნამუშევრების წარსადგენად; უფრო მეტ საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში აქტიური მონაწილეობა;
6. რეკომენდებულია პროგრამების ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას პერსონალის განვითარების, კვლევითი და მეთოდური მუშაობისათვის, ასევე სტუდენტური პროექტებისთვის საჭირო ხარჯები;
7. რეკომენდებულია გაგრძელდეს IT აღჭურვილობის განახლება, რათა დაემატოს უახლესი ტექნოლოგიების მქონე მანქანები, რომლებიც სტუდენტების მუშაობას უფრო ეფექტურსა და პროფესიონალურს გახდის;

რჩევები:

- მუდმივი, საფუძვლიანი და კარგად განვითარებული თვითშეფასების მექანიზმების შენარჩუნება, რომლებიც უკვე გამოიყენება პროგრამის მიზნების უწყვეტი და მუდმივი განვითარებისთვის;
- სასურველია ინტერნაციონალიზაციის შემდგომი გაფართოება საერთაშორისო მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მოწვევით, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს და, ზოგადად, შეიტანენ შემოქმედებით წვლილს, რაც თანამედროვე გლობალური ხელოვნებისა და კულტურის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იქნება.
- მატერიალური რესურსების გასაუმჯობესებლად, სასურველია მათი განახლება ყოველთვის იყოს დღის წესრიგში და მუდმივად იყოს გამოყენებაში.
- სასურველია, სტუდენტები და კურსდამთავრებულები უშუალოდ იყვნენ ჩართულნი პროგრამების განვითარების პროცესში.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველს სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ციფრული მედია და ინოვაციების" ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული მედია და ინოვაციები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	

		• სიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი • სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№476575 11/05/2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჟურნალისტიკის მაგისტრი Master of journalism
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა 0321 Journalism and Reporting
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ. № 8, თსუ VI კორპუსი, 0179, თბილისი, საქართველო ნინოშვილის ქ. 35, I კორპუსი, 6010, ბათუმი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადეს- ნინო ჭალაგანიძემ და მამუკა ხუსკივაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელებმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.
ექსპერტმა, თინათინ ზაქარაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში განსაზღვრული რეკომენდაციები დაწესებულებამ გაითვალისწინა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაცია ბიუჯეტთან დკავშირებით, კერძოდ რეკომენდაცია, რომ ახალ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას ჰქონდეს ცალკე გამოყოფილი ბიუჯეტი და წინასწარ იყოს განსაზღვრული ბიუჯეტის ძირითადი კომპონენტები, მაგ: სავარაუდო/მოსალოდნელი ხარჯები და შემოსავლები, რათა თავიდან იქნას აცილებული პროგრამის განხორციელებისას წარმოშობილი შესაძლო ფინანსური სირთულეები, დაწესებულებამ გაითვალისწინა მეტწილად. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა, სასწავლო პროცესის თვალსაზრისით, ერთობლივია, მაგრამ ფინანსურად იგი გამიჯნულია, რაც დასტურდება პროგრამის განხორციელებისათვის შემუშავებულ ხელშეკრულებაში (მუხლი 4). ხელშეკრულების მიხედვით, სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის იმ უნივერსიტეტში, სადაც სწავლობს. სასწავლო გრანტიც იმ ინსტიტუციაში ირიცხება, სადაც სტუდენტი სწავლობს. ამავე დროს, თითოეულ უნივერსიტეტს აქვს შრომის საათობრივი ანაზღაურების სისტემა, ამიტომ თითოეულმა უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროგრამული ბიუჯეტი, რომელიც გაწერილია ორ სასწავლო წელზე და ითვალისწინებს შემოსავლებისა და გასავლების ნაწილს, ასევე, განმახორციელებელი პირების შრომით ანაზღაურებას. შეიძლება ითქვას რომ ეს რეკომენდაციაც შესრულებული იქნა დაწესებულებების მიერ, შესაბამისად შვიდივე რეკომენდაცია შესრულდა.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ქიმერიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაწესებულება მზადაა გასცეს პასუხები საბჭოს წევრებს.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ იკითხა თუ რა აქტივობებია გათვალისწინებული სხვადასხვა დაწესებულებებში პროგრამის ფარგლებში.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ინგა შამილიშვილმა განმარტა, რომ ერთობლივი აქტივობები მოიცავს როგორც ხელმძღვანელობას, ასევე სხვადასხვა პროექტებს, როგორიცაა მაგალითად კონფერენციები, ერთობლივი მუშაობა. გარდა ამისა, დაწესებულებებმა ასევე ითანამშრომლეს სტრასბურგის უნივერსიტეტთანაც. პროგრამა სტუდენტს სთავაზობს მასზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს ამ კომპონენტების ყოველმხრივი გამოყენების შედეგად. ამასთან, შესაძლებელია კვლევითი კომპონენტის ერთ ან მეორე ინსტიტუციაში შესრულება, ასევე საკმაოდ მომხიბვლელია პრაქტიკის კომპონენტიც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:21
დასრულების დრო: 15:27
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველს სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ციფრული მედია და ინოვაციების" ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველს სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ციფრული მედია და ინოვაციების" ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

რადგან საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს აქვს თვითაცლება შპს კავკასიის უნივერსიტეტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების არსებობიდან გამომდინარე, 15:30 საბჭოს სხდომა დატოვა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის დებულების 27^{2}-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, დამსწრეთა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე სხდომას წარუძღვა საბჭოს წევრი, ერმილე მესხია.

3. მესამე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გრაფიკული დიზაინი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	05.07.2022; №762197
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში Bachelor of Fine Arts in Graphic Design
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0102, ქ. თბილისი, პაატა სააკაძის ქ. №1

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- გურანდა ჭელიძემ, მარინა მაისურაძემ და ლაშა ჩხარტიშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელებმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.
მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, მირიან ყენიამ აღნიშნა, რომ როგორც შეცვლილ პროგრამაში, ასევე პროგრამის სილაბუსებში მოცემული იყო საკმაოდ ბევრი შეცდომა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ბევრი კრედიტი ეთმობა არქიტექტორულ მიმართულებას და არ ეთმობა გრაფიკულ დიზაინს. გარდა ამისა, პროგრამის მიზნებში მოცემულია მხოლოდ ბეჭდური დიზაინი და ის საკითხები, რასაც სტუდენტები სწავლობენ და რაც გრაფიკულ დიზაინს უკავშირდება, არ არის მოცემული. ძირითადი პრობლემები იყო დაკავშირებული პროგრამის სტრუქტურასთან და ასევე, არ არის გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხები პროგრამის მიზნებში. გამომდინარე აქედან, პროგრამა კიდევ საჭიროებს საკითხების გაწერას და გაკვეულ ცვლილებებს.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს საკუთარი პოზიცია ექსპერტის შეფასებასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული პროცესი არ მოიაზრებდა ვიზიტსა და ცოცხალ კომუნიკაციას ექსპერტთან. გარდა ამისა, ექსპერტი არ მონაწილეობდა პროგრამის აკრედიტაციის დროს და შესაბამისად იკვეთება განსახვავებული მიდგომები და შეფასებები. შესაბამისად, დაწესებულება მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტს არ მიეცა შესაძლებლობა იმისა, რომ წარმოედგინა თავისი პოზიცია, ვინაიდან ანგარიშის პროცესი არც აღნიშნულს მოიაზრებს. გამომდინარე აქედან დაწესებულების წარმომადგენელმა თხოვა საბჭოს წევრებს მიეცათ შესაძლებლობა უნივერსიტეტის მიერ მომზადებული დოკუმენტის გაზიარებისა, სადაც დეტალურად არის განხილული დაწესებულების პოზიცია.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ გაცემული იქნა 10 რეკომენდაცია. ამასთან მე-10 რეკომენდაცია ეხებოდა რაოდენობრივ მაჩვენებელს, კერძოდ აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდას, რაც დაწესებულებამ შეასრულა და ექპერტის შეფასების შესაბამისადაც ჩაითვალა შესრულებულად. რაც შეეხება დანარჩენ რეკომენდაციებს, შეფასება არის არადამაკმაყოფილებელი, თუმცა სამუშაო ჯგუფმა ძალიან ბევრი იმუშავა იმისთვის, რომ ყველა რეკომენდაცია სრულფასოვნად და სრულად ყოფილიყო შესრულებული. შეიცვლა პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, შესაბამისად

ჯგუფმა, სხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით რეალურად გადაამუშავა მთლიანი პროგრამა, იმისათვის, რომ კონკრეტულად ფოკუსირება ყოფილიყო საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა პირველი რეკომენდაცია, კერძოდ რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ჩამოყალიბება მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და საფეხურის გათვალისწინებით, რათა მიზნები იყოს რეალისტური და მიღწევადი. აქვე აღწერით ნაწილში აკრედიტაციის ექსპერტებს ეწერათ, რომ პროგრამაში დასაბალანსებელია თეორიული და შემოქმედებითი კომპეტენციების შესაძლებლობები, რამდენადაც მიზნებში ხაზგასმულია ფართო განათლება ხელოვნებაში, თანამედროვე ხელოვნებასა და დიზაინში და რაც აუცილებელი კომპეტენციაა პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის. ამის საპასუხოდ, პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა შეცვალა პროგრამის სტრუქტურა, კერძოდ შემცირდა არჩევითი საგნების წილი და გახდა 9 საგანი, რომელიც ჯამში არის 45 კრედიტი. სანაცვლოდ გაიზარდა დარგობრივი სავალდებულო კომპონენტი და გახდა 13 საგანი 75 კრედიტის ოდენობით. აქვე უნდა განიმარტოს რომ არჩევით საგნებში დაემატა არქიტექტურული საგნები, რომლებიც იყო ძირითად საგნებში იყო განსაზღვრული. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა მე-2 მიზანი, სადაც ნახსენებია, რომ შეეძლოს ვიზუალური იდენტობის, შეფუთვის დიზაინის შექმნა, ციფრული დიზაინის, ფერების მოდელირების შემოქმედებით ინდუსტრიებში გამოყენება, შესაბამისად როგორც ექსპერტმა აღნიშნა აქ არის საუბარი მხოლოდ ბეჭდურ დიზაინთან დაკავშირებული საკითხები.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა 10 კრედიტიანი ,,სამგანზომილებიანი გრაფიკის“ სასწავლო კურსი, რომელიც პროგრამაში დაემატა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე. აქვე უნდა განმარტოს რომ მოცემული საკითხი ვერ დაემატებოდა პროგრამის მიზნებში, ვინაიდან არის მხოლოდ და მხოლოდ დამხარე საკითხები. რაც შეეხება საგნებს არქიტექტურის მიმართულებით, ისინი უკვე გადატანილი იქნა არჩევით სასწავლო კურსებში. გარდა ამისა, რეკომენდაციების შესაბამისად, გარკვეული საგნები შეიცვალა, ხოლო ნაწილი დაემატა, გამომდინარე აქედან შეიცვალა მიზნებიც და შედეგებიც.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ ექსპერტს შეფასებაში მოცემული აქვს, რომ 140 კრედიტიდან, 40 კრედიტი არ შეესაბამება მიზნებს, შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლებს თხოვა დაზუსტება.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ექსპერტი გულისხმობს სწორედ იმ არქიტექტურულ საგნებს, რომლებიც უკვე გადატანილია არჩევით სასწავლო კურსებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა მე-2 რეკომენდაცია, კერძოდ რეკომენდებულია პროგრამის მიზნები ითვალისწინებეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა (პროფილური კომპანიების, კრეატიული სააგენტოების, დიზაინ სტუდიების ჩართულობა) და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. აღნიშნული რეკომენდაცია გამომდინარეობდა იქიდან, რომ ინტერვიუს დროს დაწესებულებიდან ძირითადად წარმოდგენილნი იყვნენ ადამიანური რესურსების წარმომადგენლები და არა უშუალოდ გრაფიკული დიზაინის სპეციალისტები, რაც არ მოიაზრებს იმას რომ დამსაქმებლები არ არიან პროგრამის განვითარებასა და შემუშავებაში ჩართულნი. დაწესებულებას აქვს სისტემატური შეხვედრები დამსაქმებლებთან და ამ კუთხით მუშაობას დაწესებულებამ მუდმივად განაგრძობს. შესაბამისად, დაწესებულებამ წარმოადგინა სამი ახალი დოკუმენტი, კერძოდ თავიდან გაკეთდა შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებლების გამოკითხვა, რის შედეგადაც წარმოდგენილია 5 კომპანია, რომელიც მოცემულ პროგრამასთან არის დაკავშირებული. თუმცა ექსპერტი აღნიშნავს, რომ რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები არ არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირება აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობით, რათა სრულად შეესაბამებოდეს დარგის სპეციფიკაციას და მოიცავდეს დარგისთვის აუცილებელ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. აქ მნიშვნელოვანია, რომ აღწერაში ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სპეციალისტები ნაკლებად იყვნენ ინფორმირებულები, სწორედ ამიტომ, იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტების რეკომენდაციების მიხედვით, დაწესებულებამ ახალი საგნები დაამატა და ის საგნები, რომელთა ლექტორებიც იყვნენ სპეციალისტები არქიტექტურის მიმართულებით, შესაბამისად, უკვე სპეციალისტები იყვნენ ჩართულები შედეგებისა და მიზნების შემუშავებაში, რადგან სილაბუსები მათ თავად შეადგინეს. ამასთან ექსპერტი აღნიშნავს, რომ ბრენდინგს, რომელიც პროგრამისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია ეთმობა 5 კრედიტი, თუმცა უნდა განიმარტოს, რომ ბრენდინგი სხვა ბევრ სასწავლო კურსშიც არის მოცემული და საბოლოდ ჯამში შეადგენს 25 კრედიტს.

მნიშვნელოვანია ასევე მე-4 რეკომენდაცია, კერძოდ რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, კურიკულუმის რუკაში სწავლის შედეგებსა და ძირითად სასწავლო კურსებს შორის განისაზღვროს ლოგიკური კავშირი. აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში კი რეკომენდაციასთან დაკავშირებით მოცემულია, რომ კურიკულუმის რუკა ტექნიკურად და შინაარსობრივად დასახვეწია, მოცემული კურსები არასაკმარისი კვალიფიკაციით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების საპასუხოდ, დაწესებულებამ პრაქტიკულად სრულიად შეცვალა პროგრამა, შინაარსობრივი ნაწილით, სტრუქტურით, მიზნებითა და შედეგებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტს შეფასებისას ნახსენები აქვს მე-8 შედეგი, რომელიც პროგრამაში ახალი შედეგია და მოცემული აქვს, რომ გაუგებარია თუ როგორ მიიღწევა აღნიშნული შედეგი. ,,კომპიუტერული პროგრამების“ სასწავლო კურსი, კონკრეტულად ასწავლის იმ საპრეზენტაციო პროგრამებს, რომელიც აუცილებელია მოცემული შედეგის მისაღწევად, ასევე შედეგზე გადის ,,ინგლისური ენა“, ,,ხელოვნების ისტორია“ და ,,საბაკალავრო პროექტი“. ეს სასწავლო კურსები მნიშნელოვანი და აუცილებელია პრეზენტაციისთვის საჭირო უნარების განსავითარებლად, გარდა ამისა პრეზენტაციის მეშვეობით სტუდენტი წარმოადგენს თავის მიერ შექმნილ პროექტს.

მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია, ხელოვნების ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისად, პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევად დაემატოს და გაძლიერდეს მსოფლიო ხელოვნების და თანამედროვე ხელოვნების საკითხების ამსახველი სასწავლო კურსები, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკრედიტაციის ექსპერტებს აღწერაში მოცემული აქვთ, რომ არა მხოლოდ ერთი საგნის, როგორც ,,ხელოვნების ისტორია“, არამედ რიგი იყო ჩამოთვლილი, რომლიც უნდა დამატებოდა პროგრამას. გამომდინარე აქედან, დაწესებულებამ რეკომენდაციის შესაბამისად, კონკრეტული საგნები დაამატა პროგრამას და ის საგნები რომელიც არქიტექტურულ-საინჟინრო ხასიათის შემცველი იყო გადაიტანა არჩევით სასწავლო კურსების ბლოკში. შესაბამისად ექსპერტის შეფასება, რომ სახელოვნება დარგს დათმობილი აქვს 5 კრედიტი არ არის რელევანტური, ვინაიდან საუბარია 40 კრედიტზე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ თავად ,,ხელოვნების ისტორიის“ სილაბუსი სრულიად შეიცვალა, ჰყავს ახალი რექტორი, ასევე განსაზღვრულია ახალი სასწავლო ლიტერატურა, რაც სრულიად მორგებულია დარგსა და შინაარსს.

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს კურსის შესაბამისი მიზანი, სწავლის შედეგები და შეფასების კრიტერიუმები შინაარსის შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა

დასკვნის აღწერაში საუბარი იყო კონკრეტული საგნების შინაარსის ცვლილებაზე, რაც როგორც მანამდე აღინიშნა დაწესებულებამ შეცვალა. შესაბამისად, დაემატა ახალი საგნები, რომლებიც გათვალისწინებული იქნა რეკომენდაციის მიხედვით. ექსპერტს შეფასებაში აღნიშნული აქვს, რომ პრერეკვიზიტში ან შინაარსში არ ისწავლება კონკრეტული პროგრამა, რასაც დაწესებულება არ ეთანხმება, კერძოდ პირობითად ლოგოტიპი და აიდენტიკა, სადაც ისწავლება შინაარსობრივად როგორც უნდა შეიქმნას ლოგო, როდესაც დაწესებულება ვალდებულია რომ სტუდენტი მიიღოს შემოქმედებითი ტურით, არ არის ვალდებული, რომ უცილებლად ასწავლოს კომპიუტერული პროგრამები, რადგან სტუდენტებს აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ ხატვით წარმოაჩინონ თავისი ნააზრევი. შესაბამისად, ეს პროგრამები პარალელურად რა თქმა უნდა ისწავლება, თუმცა ის რომ ამ საგანში აუცილებლად იყოს მოაზრებული ამის ვალდებულება არ არსებობს.

მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია, სილაბუსების შინაარსი გადაიხედოს, გაძლიერდეს, შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების მე-6 დონის შესაბამის ცოდნასა და უნარებს, დაწესებულების წარმომდგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული რეკომენდაცია შეფასებულია როგორც ნაწილობრივ გათვალისწინებული და ასევე აღნიშნული, რომ სილაბუსები, რომლებიც ახლი მოწვეული ლექტორების მიერ არის შედგენილი, შეესაბამება უმაღლესი განათლების მე-6 დონის შესაბამის ცოდნასა და უნარებს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ არა მარტო ლექტორები, არამედ სრულიად პროგრამა შეცვალა და გადაახარისხა, სადაც არ ყოფილა დიფერენცირება სილაბუსი ახალი ლექტორის იყო თუ ძველის. გამომდინარე აქედან გაუგებარია, რომ თუ საკითხი შეესაბამება მე-6 დონის შესაბამის ცოდნასა და უნარებს, რატომ არ არის მთლიანი რეკომენდაციის შესრულება დადებითად შეფასებული.

რაც შეეხება მე-8 რეკომენდაციას, რეკომენდებულია, დარგის და საგნის შინაარსის შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურის, თუნდაც ონლაინ მასალების/რესურსების გამოყენება, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ექსპერტებს დასკვნაში ჩამოთვლილი ჰქონდათ კონკრეტული სასწავლო კურსები, სადაც ლიტერატურა არ შეესაბამებოდა შინაარსს, რასაც დაწესებულება სრულად დაეთანხმა. გამომდინარე აქედან გაკეთდა ახალი სილაბუსები და შეირჩა ახალი ლიტერატურა. თუმცა, არის ლიტერატურა რომელიც არის 2010 ან 2015 წლის გამოცემის და რა თქმა უნდა უმჯობესია უახლესი ლიტერატურის არსებობა, მაგრამ ამ დარგის სპეციალისტებმა იციან რომ ეს არის გამოწვევა, ვინაიდან ქართულ ენაზე ამ ლიტერატურის მოძიება არის ფაქტობრივად შეუძლებელი.

მნიშვნელოვანია ასევე მე-9 რეკომენდაცია, კერძოდ გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსებში რუბრიკა „სწავლა-სწავლების“ მეთოდები და მათი შერჩევა მოხდეს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტს შეფასებაში მოცემული აქვს რომ მხოლოდ ზოგიერთ სასწავლო კურსში არის შეუსაბამობა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა ზოგიერთ სასწავლო კურსს, დაწესებულებამ სწავლა-სწავლების მეთოდების მოდიფიცირება მოახდინა ყველა სასწავლო კურსში და სადაც საჭირო იყო დაკორექტირდა. ამასთან გასაკვირი იყო, რომ ანგარიშის შეფასების პროცესში მოცემული რეკომენდაცია შეფასდა როგორც არ არის შესრულებული და ასევე გამახვილებულია ყურადღება შეფასების მეთოდებზე, რაზეც დაწესებულებას არ ჰქონია რეკომენდაცია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ბრენდინგის შედარება ლოგოსთან არარელევანტურია, რადგან ბრენდინგი არის ინსტრუმენტი და არანაირ კავშირთან არ არის. ამასთან, საერთოდ არ იყო ნახსენები ის ფაქტი, რომ კომპიუტერული გრაფიკა 3 წინ უსწრებს კომპიუტერულ გრაფიკა 2 -ს,

რაც ფიზიკურად შეუძლებელია. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სადაო არ არის ის რომ პროგრამაში ცვლილებები შეტანილია, თუმცა გაცემული რეკომენდაციების მიზანი არ არის მიღწეული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ დააზუსტა, თუ რამდენი სასწავლო კურსი შეიცვალა პროგრამის სტრუქტურაში რეკომენდაციების შესრულების პროცესში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ რეკომენდაციების შესრულების პროცესში, მათი გათვალისწინების მიზნით შეიცვლა სასწავლო კურსების 60%, ამასთან შეიცვალა მიზნებიც და შედეგებიც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:22

დასრულების დრო: 16:48

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობების შესრულების შესამოწმებლად 1 წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს კავკასიის უნივერსიტეტის "გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 1 წლის ვადაში განხორციელდეს მონიტორინგი აკრედიტაციის პირობების შესრულების შესამოწმებლად.

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1.1

1) რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ჩამოყალიბება მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და საფეხურის გათვალისწინებით, რათა მიზნები იყოს რეალისტური და მიღწევადი.

2) რეკომენდებულია პროგრამის მიზნები ითვალისწინებეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა (პროფილური კომპანიების, კრეატიული სააგენტოების, დიზაინ სტუდიების ჩართულობა) და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს.

1.2

3) რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირება აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობით, რათა სრულად შეესაბამებოდეს დარგის სპეციფიკაციას და მოიცავდეს დარგისთვის აუცილებელ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

4) რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, კურიკულუმის რუკაში სწავლის შედეგებსა და ძირითად სასწავლო კურსებს შორის განისაზღვროს ლოგიკური კავშირი.

2.2

5) რეკომენდებულია, ხელოვნების ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისად, პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევად დაემატოს და გაძლიერდეს მსოფლიო ხელოვნების და თანამედროვე ხელოვნების საკითხების ამსახველი სასწავლო კურსები.

2.3

6) რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს კურსის შესაბამისი მიზანი, სწავლის შედეგები და შეფასების კრიტერიუმები შინაარსის შესაბამისად.
7) რეკომენდებულია, სილაბუსების შინაარსი გადაიხედოს, გაძლიერდეს, შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების მე-6 დონის შესაბამის ცოდნასა და უნარებს.
8) რეკომენდებულია, დარგის და საგნის შინაარსის შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურის, თუნდაც ონლაინ მასალების/რესურსების გამოყენება.
2.5
9) გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსებში რუბრიკა „სწავლა-სწავლების“ მეთოდები და მათი შერჩევა მოხდეს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.
4.1
10) რეკომენდებულია, პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, დარგობრივი აკადემიური/მოწვეული პერსონალის გაძლიერება დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შენდგომ საბჭოს სხდომა 2023 წლ ის 28 აპრილის 16:50 საათზე გამოცხადდა დახურულად.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
მესხია ერმილე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია